სადისციპლინო გადაწყვეტილება # 56

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

მატჩი	სამცხე-ჯავახეთის „ტაო“ - ბათუმის „ბათუმი“		
შეჯიბრი	დიდი 10		
მატჩის თარიღი	15/03/2025	მატჩის ადგილი	ასპინძა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია		

დარღვევის დეტალები			
მოთამაშის სახელი	ნაელესონი	მოთამაშის გვარი	ნასოკიტამბუა
კლუბი/გუნდი	სამცხე-ჯავახეთის „ტაო“	დაბადების თარიღი	03-03-1994
მსაჯი/საითინგ კომისრი	მატჩის მსაჯი იოსებ ჯაფარიძე		
ბინძური თამაში	☒ აღიარებულია ☐ არ არის აღიარებული	წითელი ბარათი	☒ აღიარებულია ☐ არ არის აღიარებული
დარღვევა	**9.13 მოთამაშემ არ უნდა შებოჭოს მოწინააღმდეგე ადრე, გვიან ან სახიფათოდ. სახიფათო ბოჭვა მოიცავს (და არ არის ლიმიტირებული) ბოჭვას ან ბოჭვის მცდელობას მხრების ხაზს მაღლა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბოჭვა იწყება მხრების ხაზს დაბლა**	წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა ☐ თუ „სხვა“ დააზუსტეთ:	
სანქცია	7 (შვიდი) კვირა/თამაში		

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	19/03/2025	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, აკაკი კერესელიძე, ედუარდ ნაჭყებია		
მოთამაშის დასწრება	კი ☒ არა ☐	კლუბის/გუნდის წარმომადგენლების დასწრება	კი ☐ არა ☐
მოთამაშის წარმომადგენელი		სხვა დამსწრეები;	

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 56

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

მოთამაშის კლუბისთვის/გუნდისთვის განხილვამდე მიწოდებული დოკუმენტაცია	მატჩის მსაჯის იოსებ ჯაფარიძის წითელი ბარათის ოქმი ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა

ფაქტობრივი მოცემულობბები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები

(მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის იოსებ ჯაფარიძის წითელი ბარათის ოქმი (ციტირება) - მე-2 ტაიმის 13-ე წუთზე იქნა მაღალი ფეხი დარტყმული ტაოს მიერ რასაც მათი 4 ნომერი ნელსონი ნასოკიტამბუა მაღალ სისწრაფეში აყვა ეს ბურთი ბათუმელთა 10 ნომერმა რეზი ჯინჭველაშვილმა დაიჭირა რომელსაც ნასოკიტაბუასგან თავი მოხვდა ცხვირის არეში და მიიღო დაზიანება. ნასოკიტამბუას არ ჰქონია მოხრის მცდელობა იყო მაღალ სისწრაფეში და დარტყმაც სახიფათო იყო რის გამოც წითელი ბარათით დაისაჯა.
2. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა - თამაშის 54-ე წუთზე „ბათუმი“-ს 10-მეტრიან ხაზთან დაკიდებულ ბურთს ეუფლება „ბათუმი“-ს #10.. მას სახიფათოდ ბოჭავს „ტაო“-ს #4 ნაელესონი ნასოკიტამბუა. ბოჭვა შესრულდა მოხრის გარეშე, მაღალ სისწრაფეში რა დროსაც „ტაო“-ს #4 ნაელესონი ნასოკიტამბუას თავი მოხვდა „ბათუმი“-ს #10 ცხვირში. მიღებული ტრავმის შედეგად „ბათუმი“-ს #10-მა ვეღარ შეძლო თამაშის გაგრძელება. ნაელესონი ნასოკიტაბუას გააჩნდა საკმარისი დრო და მანძილი სწორი ბოჭვის შესასრულებლად.

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

ბათუმის „ბათუმი“-ს ექიმი პაატა ცინცაბაძე (ციტირება) - რეზი ჯინჭველაშვილმა ტრავმა მიიღო 15/03/2025 ში ტაოსთან მატჩის დროს. გონების კარგვა არ ჰქონდა, ჩაუტარდა ჭრილობის ტუალეტი, ჰემოსტაზი, ას. ნახვევი, ტკივილგამაყუჩებელი, ყინულები. გადაყვანილი იქნა სასწრაფო დახმარებით ახალციხის რეფერალურ საავ-ში, სადაც ჩაუტარდა კტ კვლევა. დიაგნოზით: სახის ძვლების მრავლობითი მოტეხილობები ცდომით გადაყვანილი იყო კატასტროფის ბრიგადით კავკქსიის მედიცინის ცენტრში, სადაც 16/03-ში ყბა-სახის ქირურგის თ. დანელიას მიერ ჩაუტარდა ოპერაცია. რჩება კლინიკაში, სავარაუდოდ რეაბილიტაციის პერიოდი გასტანს 6 კვირამდე. თავის ტვინში კეროვანი დაზიანების ნიშნები არ ვლინდება.

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

სამცხე-ჯავახეთის „ტაო“-ს მოთამაშემ, ნაელესონი ნასოკიტაბუამ აღიარა მისი მხრიდან ბინძური თამაშის ფაქტი და დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას დარღვევის წითელი ბარათის ტოლფასად შეფასების შესახებ. ნაელესონი ნასოკიტამბუამ გულწრფელი წუხილი გამოთქვა მომხდარი ინციდენტის გამო და მოიბოდიშა სადისციპლინო კომისიის წინაშე.

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 56

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

ფაქტობრივი მოცემულობაზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა
სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის და მსჯელობის შემდეგ დაადგინა: 1. „ტაო“-ს მოთამაშის ნაელესონი ნასოკიტამბუას მხრიდან ადგილი ჰქონდა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი#1-ის 9.13 პუნქტის (მოთამაშემ არ უნდა შებოჭოს მოწინააღმდეგე ადრე, გვიან ან სახიფათოდ. სახიფათო ბოჭვა მოიცავს (და არ არის ლიმიტირებული) ბოჭვას ან ბოჭვის მცდელობას მხრების ხაზს მაღლა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბოჭვა იწყება მხრების ხაზს დაბლა) დარღვევას. 2. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი#1-ს მიხედვით : ბინძური თამაშის ნებისმიერი შემთხვევა, რომლის დროსაც მოთამაშე ბინძური თამაშის შედეგად ახდენს კონტაქტს თავის და/ან კისრის არეში და ეს ბინძური თამაში წითელი ბარათის ტოლფასია, განიხილება მინიმუმ "შუა ზღვარის" შესაბამისი სანქციით. 3. „თავში კონტაქტის პროცესი“ (მსოფლიო რაგბი/სრკ - 19/03/2023): თავში კონტაქტი - კი ბინძური თამაში - კი საფრთხის დონე - მაღალი დადგენილ ფაქტობრივ მოცემულობებზე დაყრდნობით სადისციპლინო კომისია დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას „ტაო“-ს მოთამაშის ნაელესონი ნასოკიტაბუას ქმედების წითელი ბარათის ტოლფასად შეფასების შესახებ. სანქციის შეფარდების დროს სადისციპლინო კომისიამ მხედველობაში მიიღო დარღვევის შედეგად დაშავებული მოთამაშის („ბათუმი“-ს N 10) ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხი. კერძოდ, რეზი ჯინჭველაშვილი საჭიროებს 6 კვირამდე სარეაბილიტაციო პერიოდს. სანქციის შეფარდების დროს სადისციპლინო კომისიამ გაითვალისწინა ნაელესონი ნასოკიტამბუას სადისციპლინო ისტორია. კერძოდ, სადისციპლინო კომისიის 2024 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, 9.13 წესის დაღვევისთვის ნაელესონი ნასოკიტამბუა დისკვალიფიცირებული იყო 3(სამი) კვირა/თამაშით.

გადაწყვეტილება

ბინძური თამაში	აღიარებულია ☒ დადგენილია ☐ არ არის დადგენილი ☐ სხვა (აღნიშნეთ) ☐
წითელი ბარათის ტოლფასი ქმედება	აღიარებულია ☒ დადგენილია ☐ არ არის დადგენილი ☐ სხვა (აღნიშნეთ) ☐

სანქცირების პოცესი

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.1 პუნქტის მიხედვით **დარღვევის სიმძიმის შეფასება**

განზრახვის შეფასება– 5.1(ა)-(ბ)	
შეგნებული/წინასწარ განზრახული ☐	**წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი** ☒

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 56

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

დარღვევის გამომწვევი მიზეზები/გარემოებები
დამრღვევი მოთამაშის წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი ქმედება
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი): 5.1 (დ)
თავი
პროვოცირების არსებობა 5.1 (ე)
არა
სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული 5.1 (ვ)
ჰქონდა თუ არა მოთამაშის მხრიდან ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა): 5.1 (ზ)
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა): 5.1 (თ)
დაშავებულმა მოთამაშემ ვეღარ გააგრძელა თამაში. გუნდის ექიმის განცხადებით დაშავებულის რეაბილიტაცია 6 კვირამდე გაგრძელდება.
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე 5.1 (ი)
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა; 5.1 (კ)
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა; 5.1 (ლ)
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი. 5.1 (მ)

დარღვევის სიმძიმის ზღვარი.

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით

საწყისი ზღვარი		
ზედა ზღვარი* ☒	შუა ზღვარი ☐	ქვედა ზღვარი ☐
10(ათი) კვირა/თამაში	კვირა/თამაში	კვირა/თამაში

*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის. 5.3

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 56

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

შესაბამისი შემამსუბუქებელი გარემოებები სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.7

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო; (5.7ა))	**დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;(5.7ბ))**
აღიარა დარღვევა	არა
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;(5.7გ))	**ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში; (5.7დ))**
	სამაგალითო
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;(5.7ე))	**ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება (5.7ვ))**

დაკლებული კვირების/თამაშების რ-ბა: **3**

კვირების/თამაშების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა :
შესაბამისი შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.8) სადისციპლინო კომისიამ მიიღო სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს 9.13 პუნქტის დარღვევისთვის ზედა ზღვრით განსაზღვრული საწყისი სანქციის 30%-თ შემცირების გადაწყვეტილება.

შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებები: სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.5

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია; (5.5 ა))
2024 წლის 17 ოქტომბერს 9.13 წესის დარღვევა. დისკვალიფიკაცია - 3 კვირა/თამაში
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება; (5.5 ბ)) (პერსონალური/გუნდური გაფრთხილება)
არა
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება; (5.5 გ))
არა

დამატებითი კვირების/თამაშების რ-ბა: 0

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 56

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

სანქცია

- **სანქცია მოიცავს სადისციპლინო პროცესის დასრულებამდე(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.6) მოთამაშეების/პიროვნებების შეყოვნების პერიოდში შესულ თამაშ(ებ)ს/პერიოდს. +**

დისკვალიფიკაცია (კვირა/თამაში)**სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე)**	7 (შვიდი) კვირა/თამაში	**წითელი ბარათი საკმარისია** ☐
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	20/03/2025	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	უცნობია	
დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები.		
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.21 ბ)		

თავმჯდომარე **ხელმოწერა**	მირიან თავზარაშვილი	**თარიღი**	20/03/2025

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]